

# სამედიცინო



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო  
უნივერსიტეტის გამომცემი  
**გამოდის 1957 წლიდან**

# გაზეთი

№5 (254) მაისი, 2012 წ. [www.tsmu.edu](http://www.tsmu.edu)

**უცხოელი  
პროფესორები  
სამედიცინო  
უნივერსიტეტში  
გვ. 2**

**კავკასიის  
საუნივერსიტეტო  
ასოციაციის  
კონგრესსა და  
კავკასიის  
უნივერსიტეტთა  
საბჭოს ფორუმზე  
გვ. 2**

**სტუდენტური  
გვირგვინი  
გვ. 3**

**იპოვითი  
დაავადებები  
გვ. 4**

**ექიმები პოეზიაში  
გვ. 5-6**

**ახალი  
სამედიცინო  
ნიმუხები  
გვ. 7**

„სამედიცინო გაზეთის“

რედაქცია:

ასათიანის ქ. №7;

ოთახი №600

ტ.: 254-24-64;

რედაქტორი  
დალი გაბაშია

ტ.: 599 76-25-98

555 32-56-60

კორექსორდენტები:  
მანანა ფხალაძე

ტ.: 555 29 98 27

დარეჯან კომლაძე

ტ.: 558 17 08 47

ნატო გოლჭვაძე

ტ.: 555 28 28 97

დამკაბადონებელი

ლია კიკილაშვილი

ელ.ფოსტა:

[medpressa@yahoo.com](mailto:medpressa@yahoo.com)

## გილოცავთ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!



**„...თუმცა კველი  
დაგმორდნენ,**



**ახალი სომ უნია, მათ ახალი  
ალბიზონონ უნ დიდების დღენია!..“**

## გერმანელ ექიმ-სტომატოლოგთა ლექციები და საქველმობებლო ოპერაციები თსსუ-ის კლინიკაში



21-25 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვივნენ გერმანიის ექიმთა და



სტომატოლოგთა ასოციაციების ლექტორები – დუისბურგის ყბა-სახის პლასტიკური ქირურგიისა და

ექიმი, დოქტორი ანდრეას ჰამმახერი და ქირურგი, დოქტორი ვიქტორ ვაილერტი, რომელთაც წაიკითხეს ლექციები სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ლექციების პარალელურად სტუმრებმა და თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ყბა-სახის ერთობლივი ქირურგიული ოპერაციები გააკეთეს სამედიცინო უნივერსიტეტის ფუნდის სახელობის პედაგოგის აკადემიურ კლინიკაში, რომელთაც ესწრებოდნენ სტომატოლოგიისა და მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტები.

## გამორჯვების 67-ე წლისთავის აღსანიშნავად

## მათ „სამედიცინო ანაცვალეს ფლები ახალგაზრდობის“

9 მაისი იყო და ყოველთვის დარჩება იმ 400 000-მდე ქართველის მოსაგონარ თარიღად, მონაწილეობა რომ მიიღეს 1941-1945 წლებში საბჭოთა კავშირზე ფაშისტური გერმანიის თავდასხმის შედეგად გაჩაღებულ მეორე მსოფლიო ომში, რომელთა შორის მრავლად იყვნენ სამედიცინო დარგის წარმომადგენლები...

9 მაისი საზეიმო და პატივმისაგები დღეა მათთვის, ვინც ჯერ კიდევ, ღმერთის წყალობით, ჩვენ გვერდით ცხოვრობს... თუმცა, სამწუხაროდ, უკვე თითზე ჩამოსათვლელი...

9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ, მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველი მეომრებისა, საკუთარ სამშობლოში დაბრუნდა და, უკვე მშვიდობიან პირობებში, ღირსეულად განაგრძო პროფესიული მოვალეობის აღსრულება.

1985 წელს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავის საზეიმო აღნიშვნისას, ჩვენი გაზეთის (მაშინდელი „მედიცინის მუშაკის“) სპეციალური ნომერი მიუძღვნებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მოღვაწე 52 პროფესორ-მა-

სწავლებელს და თანამშრომელს, რომელთა უმეტესობა მაღალი სამხედრო სამედიცინო ჩინის მქონე გახლდა. რედაქციის არქივი მათ სურათებს სათუთად ინახავს, რადგან ისინი უკვე ჩვენს შორის აღარ არიან; ჯგუფური სურათი კი მხოლოდ რამდენიმე პიროვნებისა შემოგვრჩა, მაგალითად, ეს სურათი, რომელიც 80-იან წლებში ჩვენს რედაქციაშია გადაღებული ფოტო-კორექსორდენტ გრიგოლ (გრიშა) ტამბულაშვილის მიერ.

სურათმა მრავალი ტკბილი მოგონება გაგვიცოცხლა...

დღევანდელმა სტუდენტობამ ალბათ ბევრი არ იცის ამ ადამიანთა დიდი ღვაწლის შესახებ, როგორც ფრინტზე, ისე პედაგოგიურ, საექიმო თუ სამეცნიერო საქმიანობაში.

...მათგან დღეს აღარავინაა, ქვეყნად კი დატოვეს სახელი და დიდება თავიანთი სიქველისა თუ კაცურკაცობისა...  
აი, ისინიც (მარცხნიდან მარჯვნივ): მაშინდელი სამედიცინო ინსტიტუტის კომენდანტი, უფროსი სერჟანტი თედო ლომთაიძე, დოქტორები: სერჟანტი ირაკლი ხოფერია (რუსუ-



ლი ენის კათედრის გამგე) და უფროსი სერჟანტი გრიგოლ სვანიშვილი (პიციენის კათედრის დოცენტი), სამედიცინო სამსახურის გადამდგარი კაპიტნები – პროფესორი მარიამ გრიგალაშვილი (სტომატოლოგიური ფაკულტეტის დეკანი), მარგალიტა ხეჩინაშვილი (ადამიანის ნორმალური ანატომიის დოცენტი), პროფესორი მელენტი ყურაშვილი, სამედიცინო სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი დავით კობეშვიძე (ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსი) და სამე-

დიცინო სამსახურის გადამდგარი მაიორი, პროფესორი შალვა თოიძე (ტოპანატომიის და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გამგე).

მათ ახალგაზრდობის წლები სამშობლოს მიუძღვნეს, ომიდან დაბრუნებულ შემდეგ კი დარჩენილი სიცოცხლე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის წინსვლასა და წარმატებას, სტუდენტთა აღზრდას და ადამიანთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვას შეაღწიეს...

დალი გაბაშია

კონფერენციები

კავკასიის საუნივერსიტეტო ასოციაციის კონგრესზე



3-5 მაისს კავკასიის საუნივერსიტეტო ასოციაციის II კონგრესზე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ თსსუ-ის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და რექტორის მოადგილე, ბ-ნი გიორგი აბესაძე.

კონგრესში მონაწილეობდნენ საქართველოს, თურქეთის, ირანის, ყირგიზეთის და აზერბაიჯანის 24 უნივერსიტეტის დელეგაცია, აჭარის მთავრობის და თურქეთის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში მყოფი დანესებულების წარმომადგენლები.

ლები შეხვდნენ თსსუ-ის პარტნიორი უნივერსიტეტების რექტორებს თურქეთიდან: პროფესორ ჰიკმეთ კოჩაკს (ერზურუმის ათათურქის უნივერსიტეტი); პროფესორ არიფ ილმასს (რიზეს რეჯე ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტი); პროფესორ ირფან ასლანს (აგრის უნივერსიტეტი); პროფესორ საამი ოზქანს (ყარსის უნივერსიტეტი). შეხვედრაში, ასევე, მონაწილეობდნენ პროფესორი რამაზ ქორქმაზი (კავკასიის საუნივერსიტეტო ასოციაციის პრეზიდენტი, უნივერსიტეტის რექტორი - თურქეთი) და პროფესორი თინა გე-

ლაშვილი (კავკასიის საუნივერსიტეტო ასოციაციის თანაპრეზიდენტი, ახალციხის უნივერსიტეტის რექტორი).

გულთბილი შეხვედრების დროს მხარეებმა „მევენას“ გაცვლით პროგრამებში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვეს (პროგრამა დამტკიცებულია თურქეთის უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ).

კონგრესზე თსსუ-ის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, კავკასიის საუნივერსიტეტო ასოციაციის სამეცნიერო საბჭოს წევრად აირჩიეს.

მთავრობის ჯილდო თსსუ-ის საპატიო დოქტორს

თსსუ-ის რექტორმა პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს (1995 წ.), ბ-ნი გეორგი სიდოროვს, გადასცა საქართველოს მთავრობის საპატიო ჯილდო - „ოქროს საწმისი“ ავსტრიულ-ქართული ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით განეული ღვაწლისთვის.



კავკასიის უნივერსიტეტთა საბჭოს ფორუმზე



ახლახან თურქეთის აგრის იბრაჰიმ ჩეჩენის უნივერსიტეტში ჩატარდა კავკასიის უნივერსიტეტთა საბჭოს მორიგი ფორუმი: „პარტნიორობის პრიორიტეტული საკითხები და სამომავლო გეგმები“, სადაც, კავკასიის სხვა წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია: თსსუ-ის კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე და უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევების და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ნინო აფციაური.

ჩვენი უნივერსიტეტის სახელით შეხვედრაზე მოხსენებით წარდგა პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე.

აგრის აბრაჰიმ ჩეჩენის უნივერსიტეტის ბაღში დაირგო მარადმწვანე მცენარეები შესაბამისი ქვეყნის ეროვნული დროშის, სიმბოლიკის და მონაწილე უნივერსიტეტების ლოგოს მითითებით.

შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის და მომავალი კონტაქტების გაღრმავების თვალსაზრისით.



სამუშაო ვიზიტით დიდ ბრიტანეთში



აპრილის ბოლოს TEMPUS-ის პროექტის: MUMEENA-ს ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დელეგაცია რექტორის მოადგილის,

პროფესორი რიმა ბერიაშვილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროფესორ ირინე კვაჭაძის, დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლე-

ბისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ზაზა ბოხუას და სამედიცინო განათლების კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ გაიანე სიმონიას შემადგენლობით იმყოფებოდა ლიდსის (დიდი ბრიტანეთი) სამედიცინო განათლების უნივერსიტეტში სამუშაო ვიზიტით, სადაც განიხილეს თსსუ-ში აკადემიური პერსონალის გადამზადების ცენტრის შექმნასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-პროცედურული საკითხები. დაიგეგმა ლიდსის უნივერსიტეტის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი ჩვენს უნივერსიტეტში.

უცხოელი პროფესორები სამედიცინო უნივერსიტეტში

გრძელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ფარგლებში ლექციების ციკლი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მაისის თვეში ჩვენს უნივერსიტეტს ეწვივნენ პროფესორები მსოფლიოს რამდენიმე უნივერსიტეტიდან, რომლებმაც სტუდენტების, რეზიდენტების და ექიმებისთვის წაიკითხეს არაერთი საინტერესო ლექცია მედიცინის სხვადასხვა სფეროდან.



ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის დერმატოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა ალექსი სიდოროვმა წაიკითხა ლექცია „ფოტოდინამიური თერაპიის უახლესი მიმართულებები დერმატოლოგიაში“.

ზალცბურგის პარაცელსუსის უნივერსიტეტის ოფთალმოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პრივატ-დოცენტმა იოზეფ სტიობერმა, სტუდენტებსა და რეზიდენტებს შესთავაზა ლექცია - „წითელი თვალის სინდრომი“ და „მხედველობის უეცარი დაკარგვა“, ხოლო რეზიდენტებს და ექიმებს - „რქოვანას რეფრაქციული ქირურგია DALK და DMEK მეთოდებით“.



ნოვი-სადის (სერბეთის) უნივერსიტეტის პულმონოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ბრონისლავ იერემიკი გოჩა ინგოროვას საუნივერსიტეტო კლინიკაში წარდგა რამდენიმე ლექციით, კერძოდ, „რადიაციული ონკოლოგიის როლი ზოგადი ონკოლოგიის მკურნალობაში“, „სამედიცინო ფიზიკის ძირითადი ასპექტები რადიოთერაპიაში“ და ა.შ.



ბელგრადის სპორტული აკადემიის პროფესორ გორან როდინის ლექცია - „სპორტულ ტრამეებს, მათ დიაგნოსტიკას და მკურნალობის მეთოდებს“ შეეხებოდა.



ვეროპის პედაგოგიული აკადემიის იშვიათ დაავადებათა სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის, დოქტორ ლიზბეტ სიდერიუსის (ნიდერლანდები), ლექციათა თემა გახლდათ - „გენეტიკა ზოგად პრაქტიკაში: რომელი ზოგადი პრინციპების ცოდნა აუცილებელია“; „ახალი მიღწევები პედაგოგიულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში“.



იენის უნივერსიტეტის პირის ღრუს, თავისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორმა შტეფან შლუტცე-მოსგაუმ წაიკითხა ლექციები პირის ღრუს და ყბა-სახის პათოლოგიების, კისრის სიმსივნეების მკურნალობის თანამედროვე კონცეფციების და პლასტიკური და სალექტი სისტემის რეაბილიტაციის შესახებ ყბა-სახის ქირურგიაში.



# საქართველოში გვერდით



### ეკონომიკის სალომე ქეზაშვილი

მადგენლები. მონაწილეებს ჩაუტარდა ტრენინგები თემაზე: პროექტების მენეჯმენტი, სტრატეგიების დაგეგმვა, პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, ლიდერობა, კონფლიქტების მენეჯმენტი. შეხვედრის მეოთხედს დაეძღვა ჩაატარა პოლიანდიდან მო-

## საქართველოში 2012

# “მღერის და ხუმრობენ ექიმები”

ექიმების ზოგად ნიჭიერებაზე კარგად მეტყველებს ჩვენ უნივერსიტეტში ჩატარებული არაერთი პროექტის პრეზენტაცია, რომლებშიც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ: პოეზიის

ნელს კონკურსსა და ავსებდა კომპეტენციური უფრო, კერძოდ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ტა-ტა ხვედელიანი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს რეგიონული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მრავალი ფესტივალის გამარჯვებული, ნიკოლოზ ჯიბუტი, თსუ-ის სპორტის და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე, ბადრი მაჭავარიანი, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, თსუ-ის სპორტის და

დოვდენ გამარჯვებული, კერძოდ, ნომინაციები: თანამედროვე ცეკვა - მედიცინის ფაკულტეტი, ქართული ცეკვა - სტომატოლოგიის ფაკულტეტი, მხატვრული კითხვა - სტომატოლოგიის ფაკულტეტი, კლასიკური მუსიკა - მედიცინის ფაკულტეტი, ვოკალურ შესრულებაში -

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი, ხალხურ სიმღერაში - ფარმაციის ფაკულტეტი, იუმორისტულ ნომერში - მედიცინის ფაკულტეტი, საუკეთესო დუეტში - მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტები. „ნლის აღმოჩენა“ გახდა სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ჟოზეფინა გურამიძე, საუკეთესო გულმემატიკრობისთვის პრიზი გადაეცა სტომატოლოგიის ფაკულტეტს; ნინო ყვანას სპეციალური პრიზი რადიო „მუზასაგან“ გადაეცა სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს, ავთო ბაქრაძეს ფორტპიანოზე საუკეთესო შესრულებისთვის; ნომინაციაში - „საუკეთესო მხარდაჭერი დეკანატი“ - გამარჯვებული ფარმაციის ფაკულტეტის დეკანატმა, ხოლო ნათია გუჯაბიძემ სპეციალური პრიზი გადასცა სალომე ასათიანს, ანი ჭიქაძე-იძეს და ამ წელიწადის ავტორს ლონისძიების ორგანიზებისთვის.



სალამობები, ხელნაკეთი ნივთების და ნახატიების გამოფენა-გაყიდვები, კონცერტები და სხვა.

ამასთან, კარგად გვახსოვს რამდენიმე წლის წინ თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარებული კონცერტების სერია - „მღერის და ხუმრობენ ექიმები“. ჩვენი ექიმების ნიჭიერების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი უნივერსიტეტის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი იყო...

მიმდინარე წლის 10-11 და 15 მაისს, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო კონკურსი - „ხელოვანი ექიმები - 2012“. ტრადიციას საფუძველი რამდენიმე წლის წინ ჩაეყარა, შემდეგ იყო ორწლიანი პაუზა, ნელს კი სტუდენტთა აქტიურობამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ამ ღონისძიების ალდგენის სისწორეში.

სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებდნენ თანამედროვე ქართულ ცეკვებში, ხალხურ სიმღერაში, ვოკალურ შესრულებაში, კლასიკურ მუსიკაში, იუმორისტულ ნომერებსა და მხატვრულ კითხვაში...



ხელოვნების ცენტრთან არსებული დრამატული თეატრ - „ჰიგას“ რეჟისორი, ნათია გუჯაბიძე, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი მომღერალი მარიკო ებრაძე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის ასოცირებული პროფესორი, რადიო „მუზას“ პროექტების მენეჯერი, ნინო ყვანა, საქართველოს „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ ფედერაციის პრეზიდენტი, ნიკოლოზ მახვილაძე. ორი საკონკურსო დღის განმავლობაში თსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსის წითელი დარბაზში მასურბელს ვერ იტყვია. თითოეულ ფაკულტეტს ჰყავდა ფან-კლუბი. მთელ დარბაზში გაშლილი იყო სხვადასხვა შინაარსის პლაკატები.

15 მაისს ჩატარებულ გალა-კონცერტზე გამოვლინდნენ და დაჯილ-

რამდენიმე ნომინაციაში გამარჯვებული ნომერი გაიგზავნა რესპუბლიკის მასშტაბით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონკურსზე - „სტუდენტური დღეები 2012“.

თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას დაგვამილი აქვს იგივე პროექტის განხორციელება, რადგან დიდი სტუდენტთა ინტერესი აღნიშნული პროექტისადმი.

მადლობას ვუხდით თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას, სპორტისა და ხელოვნების ცენტრს და სტუდენტებს, რომლებიც კოორდინირებულად და ორგანიზებულად მუშაობდნენ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად.

ლამა ლოჯანიძე, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე

## ახალგაზრდული შეხვედრები EMSA-ს ებილით

EMSA ოფიციალური განმარტებით წარმოადგენს ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციას, მსოფლიოში დიდ, დამოუკიდებელ, აპოლიტიკურ მედიკოს სტუდენტთა გაერთიანებას, რომელშიც რამდენიმე ქვეყანა ერთიანდება. EMSA ერთი დიდი, შეკრული და ძლიერი გუნდია, რომელშიც თითოეული წევრი ქვეყანა ცდილობს დაამტკიცოს თავისი ნიჭიერება და პოტენციალი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა კონკურენცია - ჯანსაღი, მისასალმებელი და აუცილებელი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

წვეულმა პროფესორმა Jacques van der Vliet-მა თემაზე: „ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ჯანმრთელი დაბერება“.

EMSA-ს ლონისძიების ფარგლებში სტუდენტები ევროპის სხვადასხ-



2012 წლის 10-14 მაისს, რუმინეთის ქალაქ ტარგუ მურეში, გაიმართა EMSA-ს ნაციონალური



ვა ქვეყნიდან, პროფესიული გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, ეცნობიან ერთმანეთის კულტურას, ისტორიას, ჩვეულებებს, სწავლობენ ამ კულტურების პატივისცემას. ასოციაციის შეხვედრის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებაც ხელს უწყობს ამ პროცესს და მომავალი ურთიერთობების დიდ პერსპექტივებს გვთავაზობს.

ნინო პარკვაძე, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი

## ინჟინერო-მედიცინის ინჟინერო-მედიცინის

### კიბი, ბაქტერიოლოგი, მასობა...



ენონა და მიხეილ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთო?

- როგორ გაიხსენებთ სტუდენტობას?

- კარგად (იციან)! ძალიან კარგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სტუდენტობა ცუდ პერიოდს დაემთხვა, ომი, გადატრიალება, სროლები ქალაქში და რა ვიცი, კიდევ რამდენი უბედურება... მიუხედავად ამისა, მაინც კარგად მახსენდება. საინტერესო სტუდენტობა მქონდა უშუქობის, უპურობის დროსაც კი...

- გაიხსენეთ კათედრა ან ლექტორი, რომელმაც ყველაზე მეტად დაგამახსოვრა თავი?

- ნევროლოგიის კათედრა, ქალბატონი ნინული ნინუა, რომელიც ძალიან კარგად მახსოვდა...

- მიუხედავად იმისა, რომ თქვენ განაგრძობთ მოღვაწეობას ექიმის პროფესიით, საზოგადოებისათვის ცნობილი ხართ, როგორც მასხიობი და ტელენამყვანი. თქვენი აზრით რატომ მოხდა ასე?

- რა ვიცი, ასე მოხდა...

- სერიალ “შუა ქალაქში” თქვენმა პერსონაჟმა, ირაკლი ჩხეიძემ, ძალიან შეაყვარა და დაამახსოვრა თავი მასწავლებლის. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი და, საერთოდ, რატომ დათანხმდით ამ პროექტში მონაწილეობას?

- ვიცოდი, რომ კარგს გააკეთებდნენ, რადგან პროფესიონალებმა მოკიდეს ხელი და დაეთანხმნენ. სტუდენტობიდან მოყოლებული ყოველთვის მიზიდავდა შემოქმედებითი ცხოვრება.

- დღეს უკვე სხვა დროა და მათი არჩევანის იმედს მაქვს, უნდა ისწავლონ და ყველაფერი გააკეთონ, რომ კარგი ექიმები გამოვიდნენ.

გვანცა იოზიძე, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი

სტუდენტური გვერდის ახალ რუბრიკაში “ცნობილი ექიმები” ჩვენი სტუდენტები იქნებიან ექიმები, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი ხიან არა მხოლოდ თავიანთი ძირითადი პროფესიით, არამედ სულ სხვა სფეროში...

ჩვენი რუბრიკის პირველი სტუმარია ექიმი, ტელენამყვანი, მასხიობი ბ-ნი ითარ ტატიშვილი. ბატონ ითართან ინტერვიუ, მისი დატვირთული გრაფიკის გამო, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველო-საბერძნეთის მატჩის დროს ჩავენერეთ.

- ბატონო ითარ, რატომ გადაწყვიტეთ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება? ეს პირადად თქვენი სურვილი იყო თუ მშობლების აზრი გაითვალისწინეთ? განაყვეტილების მიღების დროს, ერთ-ერთი ფაქტორი, ხომ არ იყო ისიც, რომ იმ დროს სამედიცინო ინსტიტუტში სწავლა პრესტიჟული იყო?

- კი, პრესტიჟული ნამდვილად იყო. გადაწყვეტილება ჩემი სურვილით არ მიმიღია, მშობლების აზრი გაითვალისწინე, მაგრამ სწავლის დროს ძალიან მო-

- საყოველთაოდ ცნობილია, რომ ექიმები ცხოვრებაში მომხდარ ტრავიკულ მოვლენებს ხშირად უემოციოდ იღებენ, რაც გარეშე თვალს შეიძლება გულგრილობად მოეჩვენოს. თუ გქონიათ მსგავსი შემთხვევა და როგორ იქცევით ასეთ დროს?

- რა თქმა უნდა, მქონია. სიტუაციიდან გამომდინარე, კონკრეტული ქცევა და სტანდარტი ნამდვილად არ მაქვს.

- იქნებ გაიხსენოთ კურიოზი თქვენი საქმიანო ცხოვრებიდან...

- ერთი მახსენდება: საკმაოდ მძიმე პაციენტის პატრონი მოვიდა, რაღაც მინდა გკითხოთ. ცალკე შემოვიდა პაციენტის გარეშე, მეგონა როგორც იციან ხოლმე: მე მითხარი, არ დამიძალაო ან რაიმე მსგავსს მეტყვოდა, დავიწყე ახსნა და - არა, სურათის გადაღება მინდაო.

- საზოგადოებისთვის თვალში თქვენ ძალიან მხიარული ადამიანი ჩანხართ, ხომ არ იმალდება რაიმე სევდა მხიარული ოთარ ტატიშვილის არჩევანში?

- სევდიანი ისტორიები ყველას აქვს, ყოველთვის მხიარული არაფინ არის. რა თქმა უნდა, არც მე...

- როგორც ცნობილია, თქვენი შვილი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტია. მიიღეთ თუ არა მონაწილეობა შვილის პროფესიის არჩევანში?

- ამ შემთხვევაში, ჩემი და მისი სურვილი ერთმანეთს დაემთხვა...

- და ბოლოს, რას ურჩევთ ახალგაზრდებს, რომლებმაც არჩევანი სამედიცინო უნივერსიტეტზე გააკეთეს?

- დღეს უკვე სხვა დროა და მათი არჩევანის იმედს მაქვს, უნდა ისწავლონ და ყველაფერი გააკეთონ, რომ კარგი ექიმები გამოვიდნენ.

გვანცა იოზიძე, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი



## მინიაქაი

მიხეილ დიაკონიძე თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული და მაგისტრია. დაიბადა ქუთაისში 1987 წლის 23 აპრილს. მისი შემოქმედება ძალიან პოპულარულია ახალგაზრდებში.

ბავშვობის ასაკიდან გატაცებულია პოეზიით. არის არაერთი ლექსის ავტორი, რომელთაგან რამდენიმე უკვე გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში. ამ ბოლო დროს კი პროზაშიც სცადა ბედი (მინიაქურა და ესე). პირველივე მცდელობისას ბარათაშვილის სახელობის კონკურსის ერთ-ერთ ნომინაციაში გამარჯვდა, რაც, როგორც თავად აღნიშნა, დიდი სტიმულია მისთვის წერის გასაგრძელებლად.

## მე უხელო პარ...

უკვე წლებია ასე მოშველი დავაბიჯებ დედამინაზე... ასე მოშველი დადევიარ სახელში, ქალაქში, სოფელში, სასწავლებელში, სხვადასხვა თაემეყრისა თუ, უბრალოდ, ხალხმრავალ ადგილას, რაოდენ გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, ტაძარშიც კი სრულიად მოშველი შევდივარ...

მკითხულობთ და ფიქრობთ: „უსირცხვილია ეს კაცი ვილაცაა, ხალხს მაინც მოერიდოს, ტაძარში მაინც, სულ დაკარგა ნამუსი?!, რა საამაყო ეგ არის, წერილობითაც რომ მოსდო ქვეყანასო“...

მე კი, იმის მხვირად, რომ თქვენსავით ვიმოსებოდე, პირიქით, ყველას გამოშველებისკენ მოვიხივებ! განიხარცეთე ყოველივე და გამოშველით რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება მეტნი!!!

მონოდების მერე კი თქვენ მოგმართავთ, განკითხვის მამებო:

სანამ ჩემი სიშშველის ქადაგება თქვენი უქმადმეტყველების კიდევ ერთი დროებითი თემა გახდება, იქნებ დაფიქრდეთ, რითა ხართ თავად შემოსილინი...

- გაცვივით შური ერთმანეთის წარმატებისა, შური ერთურთის სიმდიდრისა, შური ცოდნისა და სიღამაზისა.

- გაცვივით სიძვა და გარყვნილება მსგავსად სოლომ-გომორის მცხოვრებლებისა...

- გაცვივით სიცრუე და სტყუილი ურცხვად უფლისა და კაცის წინაშე...

- გაცვივით ფარისევლობა და მოიქნელობა და არ ძალგით ამ სამოსის გარეშე...

- გაცვივით მემთვრალეობა, გულუქვაობა, გულგრილობა, არაკეთილსინდისიერება, პარვა და სხვა ყოველივე არასაუფლო...

- გმოსავთ სამოსი არაეროვნული, არაქრისტიანული, არაადამიანური და შურუაღმყოფელი დღემდე სისხლითა და ფულით მოღწეული ისტორიისა და ქვეყნისა...

- გმოსავთ სამოსი მამათვალობისა და ნარკომანიისა...

და მე მოშველი, თქვენი გამოშველილი თითების სამიზნე, გაკვირდებით და ვხედავ, რომ ყველა ადამიანი მსახიობია, ცოდვილინი იბადებიან და ხალხის დასანახად ცხოვრების ბოლომდე ანგელოზებს თამაშობენ, თუმცა მათი როლი სიცოცხლის ბოლოს მთავრდება და თეატრის გულუხვი მასწავლებლებისაგან განსხვავებით, უფალი კარგად შესრულებული როლისთვის სამოთხით არავის აჯილდოებს...

და აი ასე, მხოლოდ უფლისა და კაცთა მოდგმის სიყვარულით შემოსილი, მოვიწოდებე ყველას, განურჩევლად სქესისა, რასისა და აღმსარებლობისა:

განიმოსეთ ყოველი ბორცვი განიმოსეთ ყოველივე არასაუფლო! და გავიშველდეთ ყველანი, რათა უფლის მადლით შემოსილინი ოდესმე მივადგეთ ალაგს, სადაც ყოველი მართალნი განისვენებენ...

იშვითი დაავადებები

აქონდროპლაზიის შეუღება პრადერი-ვილის სინდრომთან და შავ აკანტოზთან

2012 წლის 17 აპრილს, თსსუ-ის ცენტრალური კლინიკის ამბულატორიული სამსახურის ექიმ-გასტროენტეროლოგს დახმარებისთვის მიმართა 18 წლის ავადმყოფმა, ქ.ჩ.-მა, მძიმე შეკრულობის, გულმძარვის, გულსრევის, ბოყინის, კუჭის და ჭიპის მიდამოში სიმძიმის შეგრძნების ჩივილებით. დედის გადმოცემით: გოგონა დაიბადა დროული, სამი კგ წონით, მაგრამ - კიდურების შესამჩნევი დამოკლებით ორივე ტერფზე, მეოთხე თითებიც იყო დამოკლებული. თავდაპირველად გონებრივი განვი-

ტა 75 კგ-მდე, სიმაღლე კი არ აღემატებოდა 110 სმ-ს; განსაკუთრებით ანუზებდა შეკრულობა, რის გამოც მკურნალობდა ლაქსატივებით (გამხსნელებით). რეზისტენტული კონსტიპაციის გამო დედა ხშირად მიმართავდა გამწმენდ ოყენას.

ამბულატორიული მიღებისას ყურადღება მიიპყრო განვლულმა სიარულმა. ტერფის ტკივილის გამო, ქუსლებს ვერ ადგამდა, გვერდზე ქანაზობდა; გადაადგილების შემდეგ ხშირად ისვენებდა. კანი, განსაკუთრებით სახეზე - მუქი, ხოლო კისრის მიდამოში - უკანა და ლატერალურ ზედაპირზე - ბრინჯაოსფერი, უხეში, ჰორიზონტალურად დაღარული, კანი პალპაციით მკვრივი, ხავერდის (ველვეტის) მაგვარი იყო; თავი - დიდი ზომის, ცხვირი - უნაგირისებრი, მხარი და ბარძაყი - ზომებში მკვეთრად შემცირებული, ტერფის მეოთხე თითები (სიმეტრიულად) ბოლო ფალანგის განუითარებლობის გამო, დამოკლებული. სასქესო (დიდი და მცირე სასირცხო) ბაგეები - ჰიპოპლაზიური, ჰიპერპიგმენტირებული, პირის ღრუს დათვალეირებით - მაღალი გოთური სასა, კბილები - კარიესული; მენსტრუალური ფუნქცია - მკვეთრად დაქვეითებული, ექვს თვეში ერთხელ, ისიც - მცირე ხნით; ოლიგო-ამენორეა. კლინიკურ-ლაბორატორიული და R-სკოპიური გამოკვლევებით: გლუკოზა სისხლში - 4,2 მმოლი/ლ (ჭამამდე); ჭამის შემდეგ - 3,9 მმოლი/ლ; R-სკოპია: გული და ფილტვები - პათოლოგიური ცვლილებების გარეშე; მენჯის ბარძაყის და ტერფ-წვივის ძვლებში - დისპლაზიური ცვლილებები. ბარძაყის ძვლის თავები - მცირე ზომის და დეფორმირებული; ტერფების მეტადორზალური ძვლების დისტალური ეპიფიზები და ფალანგები ოსტეოპოროზულია. ორივე ტერფის მეოთხე თითების დისტალური ფალანგები განუითარებელია (თ. შათირიშვილი); კუჭ-ნაწლავის R-სკოპიით: კუჭის ლორწოვანი გარსის ნაოჭები გასქელებულია. ევაკუაცია - შეფერხებული, გასტრო-ილეალური რეფლუქსი - დაქვეითებული; პასაჟი ნაწლავში - შენელებული, გამოხატულია ნაწლავის ჰიპოტონია. განივი კოლინჯი დაწეულია (თ. შათირიშვილი). იმუნოლოგიური კვლევებისას გამოვლინდა T საერთო ლიმფოციტების დაქვეითება - 39% (ნორმა - 45-50 %); T-ჰელპერიც - დაქვეითებული, აღმოჩნდა 23% (ნორმა - 30-40%).

ამრიგად, ანამნეზური, კლინიკური, რენტგენოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, ეჭვი მივიტანეთ აქონდროპლაზიის, პრადერი-ვილის სინდრომის და შავი აკანტოზის არსებობაზე.

ორთოპედმა, პროფესორმა შადიმან სახვამე დადასტურა გენეტიკური დაავადებების აქონდროპლაზიის დიაგნოზი, ხოლო, გენეტიკური დაავადების - პრადერი-ვილის სინდრომის დიაგნოზის დამაზნაობაზე ელი კლინიკური ნიშნები: ჰიპოთალამური სიმსუქნის, ჰიპერფაგიის, ჰიპოგონადიზმის (ამენორეის) მენტალური დაქვეითების საფუძველზე; დადასტურა ენდოკრინოლოგმა, პროფესორმა ქეთევან ნათელაძემ.

ავადმყოფი გასინჯა ფსიქონევროლოგმა ნაზი შარაშენიძემ; ავადმყოფი კონტაქტში დუნედ, უხალისოდ ერთვება; ორიენტაცია - ნახევრად დარღვეული. ზუსტად არ იცის, რომელი წელი, თვე და რიცხვია. ასოციაციები - წელი, მარტივი, სადა. კონტაქტში ადვილად იღლება, მალე იფიტება. ვერ ერკვევა მარტივ აბრ-თმეტიკულ ანგარიშში, ემოციურად ლაბილურია და ადვილად ღიზიანდება; უჭირს დამოუკიდებლად ჭამა, თავის მოვლა. გონებრივი სფერო შეესაბამება დებილობის დონეს.

ამრიგად, საბოლოო დიაგნოზი ასე გაფორმდა: აქონდროპლაზია, პრადერი-ვილის სინდრომი, შავი აკანტოზი, მძიმე ფორმის შეკრულობა, T-უჯრედული იმუნოდეფიციტი.

ვინაიდან შემოსენებული დაავადებები უფრო მძვირად გვხვდება


და ექიმთა უმრავლესობისთვის ნაკლებადაა ცნობილი, მიზანშეწონილია მათი მოკლე მიმოხილვა:

აქონდროპლაზია წარმოადგენს ჩონჩხის ძვლების სისტემურ დაზიანებას. ამ დროს, ნაყოფის ქონდრობლასტური სისტემის თანდაყოლილი დეფექტის გამო, ვერ ხდება ხრტილის (პროლიფერაციის ზონაში) ნორმალური ზრდა (მ. ვოლკოვი და სხვები, 1985 წ.). ბოლო წლების მონაცემებით, აქონდროპლაზიას იწვევს ხრტილების ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორის, მესამე რეცეპტორის გენის მუტაცია სპორადიულად ან აუტოსომურ-დომინანტური გზით (ა. გოგელია - ინტერნეტიდან, 2008 წ.).

თუ რა მნიშვნელობას იძენს მე-მკვიდრული ფაქტორები აქონდროპლაზიის განვითარებაში, საკმარისია გავისხენოთ იარაღის უნიკალური დაკვირვების (1928 წ.) განხილვა: ჯანმრთელ ქალს და მამაკაცს, ქორწინების შემდეგ, გაუჩნდათ უჯანსაღი შვილები. ეს ბედნიერი ოჯახი რატომღაც დაიშალა და მამაკაცმა შეირ-



ედვენება ცნობილი მკურნალის, რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური სავადმყოფოს ენდოკრინოლოგიური განყოფილების პირველი და უცვლელი გამგის (1973-2007 წ.წ.), რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, ლეილა სტურუას, საიუბილეო თარიღს. სტატის ავტორები და "სამედიცინო გაზეთის" რედაქცია ქალბატონ ლეილას უსურვებენ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას!



მარჯვენა და მარცხენა ტერფის მეოთხე თითის ბოლო ფალანგების განუითარებლობა და ძვლების ოსტეოპოროზი.



მცირე ზომის, დეფორმირებული ძვლის თავები, მენჯის და ბარძაყის ძვლები დისპლაზიური ცვლილებით.

თარებით არ განსხვავდებოდა ნორმალური და-ძმებისგან. სამი თვის შემდეგ თვალსაჩინო გახდა თავის და მუცლის არაპროპორციული ზრდა. კბილების ამოსვლა დაეწყო ორი წლის შესრულების შემდეგ. ფეხი აიდაგა ორწინაგვერდის ასაკში. სკოლაში შესვლისთანავე, ცხადი გახდა თანატოლებთან შედარებით ზრდაში ჩამორჩენა. 5 წლის ასაკიდან დაეწყო გასუქება, სწავლობდა არადამაკაყოფილებლად. მეოთხე კლასიდან, სიარულის განვლვის გამო, დატოვა სკოლა, რამაც ფსიქიკაზე მძიმედ იმოქმედა: გახდა გაღიზიანებული, ხშირად ეცვლებოდა გუნება-განწყობა, დაეწყო ჰიპერფაგია, წონაში მოიმა-



18 წლის გოგონა აქონდროპლაზიის და პრადერი-ვილის სინდრომით, მკურნალ ექიმებთან ერთად.

საყურადღებოა ზრდაში მკვეთრი ჩამორჩენა - 110 სმ; წონა - 75 კგ; უნაგირისებრი ცხვირი და კანის მუქი ფერი.



იგივე ავადმყოფი მოკლე ქვედა კიდურებით (მიკრომელია); კარგად ჩანს ტერფის მეოთხე თითის ბოლო ფალანგების განუითარებლობა, რაც მოკვეთილი თითების შთაბეჭდილებას ტოვებს. საყურადღებოა ჰორიზონტალური ღარები ჭარბციხიან ქვედა კიდურებზე.

თო აქონდროპლაზიით დაავადებული ქალი. მათაც შეეძინათ შვილები, რომელთაგან ნახევარი იყო ჯანმრთელი, ნახევარი - აქონდროპლაზიით დაავადებული. ქმარს გაცილებული ქალი, ბუდიის ირონიით, დაქორწინდა აქონდროპლაზიით დაავადებულ მამაკაცზე. აქაც სანახევროდ ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვები დაიბადნენ (მ. სახვამე).

მოსკოვის ორთოპედის და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში (დირექტორი, აკადემიკოსი მ. ვოლკოვი, 1985 წ.), თითქმის 50 წლის განმავლობაში, ვატარდა აქონდროპლაზიით დაავადებული 120 პაციენტი (ანუ 2 წელიწადში, საშუალოდ, 5 ავადმყოფი). 1987 წლის მონაცემებით (ს. კოზლოვას თანაავტორობით), აქონდროპლაზია მეტად იშვიათ დაავად-

ებას წარმოადგენს და 100 000 ახალშობილზე მხოლოდ 1 შემთხვევა მოდის. ბოლო მონაცემებით კი (თ. ვოკესი 2008 წ.) აქონდროპლაზიის სახშირე ახალშობილებში მერყეობს: 15000-დან 1:40 000-მდე.

რაც შეეხება პრადერი-ვილის სინდრომს, ის (მარკ მოლირი, 2008 წ.) გვხვდება 1:25000 ახალშობილზე.

მას ახასიათებს სიმსუქნე, ნანიზმი ან სუბნანიზმი, მენსტრუაციის დეფიციტი, ჰიპოგონადიზმი, ჰიპერფაგია. გაძლიერებული მადის და სიმსუქნის, ნანიზმის, ჰიპოგონადიზმის მიზეზად მიიჩნევენ Hჰიპოთალამუსის ნორადრენერგიული ბოჭკოების დესტრუქციას (პარავენტრიკულარი ბირთვებიდან დაწყებული მედიობაზალური ნაწილებით დამთავრებული).

ციტოგენეტიკური შესწავლით ვლინდება მე-15 ქრომოსომის დელეცია (ნაშლა, განადგურება) q 11- q13 ზონაში სპორადიულად (როგორც ჩვენს შემთხვევაში), პრადერი-ვილის სინდრომს ეხვდება კონკორდანტულ მონოზიგოტულ ტყუპებში, სიბესში (დამძებში) და ზოგჯერ - ბიამპელიტებშიც კი (გ. მარინჩევა, გ. გავრილოვი, 1988 წ.; ა. გოგელია - ინტერნეტიდან, 2012 წ.).

მართალია, შავი აკანტოზი არ არის იშვიათი, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი ექიმთა უმრავლესობისთვის. ამიტომ მიზანშეწონილია მისი განხილვა.

ამ დროს კანი ძლიერ გამუქებული და გასქელებულია (ნააგავს ყავისფერ, შავ ხავერდს, ე.წ. ველვეტის სიმპტომი). ასეთი ცვლილებები უფრო გამოხატულია კანის ბუნებრივი ნაოჭების ადგილებზე, მაგალითად, ილიის, კისრის, შორისის მიდამოში და ზოგჯერ, პირის ლორწოვანის კანზე, გადასვლის ადგილებზე.

შავი აკანტოზი გვხვდება კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი ფორმის. შავი აკანტოზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი (მემკვიდრული). ენდოკრინული დაავადებების, სიმსუქნის, ზოგიერთი მედიკამენტის მიღების დროს. აღწერილია შავი აკანტოზები, სიმსუქნის, ინსულინდამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის, საკვერცხეების პოლიკისტოზის, ანდროგენების სიჭარბის, აკრომეგალიის, გიგანტიზმის, ჰიპოგონადიზმის, ჰიპოთირეოზის და ადისონის დაავადებების დროს (ქ. ნათელაძე).

მედიკამენტურ შავ აკანტოზს ვხვდებით ნიკოტინის მჟავას (დიდი დოზების), დიეტისტილბესტროლის, გლუკოკორტიკოსტეროიდების, სომატოტროპინების გამოყენების შემთხვევაში (ქ. ნათელაძე - ინტერნეტი, 2012).

შავი აკანტოზის ავთვისებიანი ფორმას ვხვდებით კუჭ-ნაწლავის და უროგენიტალური სისტემის ნეოპლაზმების დროს. აღწერილია შემთხვევები, როცა კანის შავი აკანტოზი ხუთი წლით უსწრებდა ავთვისებიანი სიმსივნეების გამოვლენას კუჭ-ნაწლავში, გენიტალიებსა და სამარდე ორგანოებში.

შავი აკანტოზის პათოგენეზი არასაკმარისადაა შესწავლილი. თანამედროვე შეხედულებით (ფიცპატრიკი, 2009 წ.) ჰიპოფიზში პროპიო-მელანოკორტინისგან უცნობი პეპტიდი წარმოიქმნება, რომელიც ხელს უწყობს კანის ჰიპერპიგმენტაციას,

გასქელებას, ჰიპერკერატოზს. მიუთითებენ ჰიპერინსულინემიის მასტიმულირებელ გავლენას შავი აკანტოზის წარმოქმნაზე.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი დაავადებების მკურნალობა, პრეპარატების მოხსნა ან სიმსივნეების ადრეული ამოკვეთა დადებითად მოქმედებს შავ აკანტოზზე - კანი კარგავს მუქ ფერს, რბილდება და სხვა (ფიცპატრიკი, 2009).



იგივე ავადმყოფი პროფილში - კარგად ჩანს ჩაჭყლელი, უნაგირისებრი ცხვირი, მუქი, ჰიპერპიგმენტირებული კანი (შავი აკანტოზი).

ჩვენ (ბ. პაჭკორია, მ. ჭიპაშვილი, 1987 წ.; ხ. პაჭკორია, ც. კონცეციძე, 2008-2009 წ.წ.) გამოვავლინეთ შავი აკანტოზები კუჭის დაწყებული კიბოს, გენიტალიების ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკურ მანიფესტირებამდე. სამი ავადმყოფი ერთ წლამდე ვადაში გარდაიცვალა, ხოლო ერთი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჩვენთვის უცნობია.

ამრიგად, ჩვენს შემთხვევაში, ავადმყოფს აქონდროპლაზიასთან ერთად, ჰქონდა პრადერი-ვილის სინდრომი.

ინტერნეტის გამოყენებით, მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში ვერ დავადგინეთ ამ ორი გენეტიკური დაავადების შეუღლების ფაქტი. საყურადღებოა ამავე ავადმყოფზე შავი აკანტოზის, მძიმე შეკრულობის და T უჯრედული იმუნოდეფიციტის არსებობაც.

მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურაში გვხვდება გენეტიკური დაავადებების შეუღლების არაერთი შემთხვევა. გამოვავლინეთ 16 წლის გოგონა ქედის რაიონიდან, დაუნის ტრისომიით და ცელიაკიის ვერიფიცირებული დიაგნოზით. ასევე, შეგვხვდა მამაკაცი, დაავადებული ჰემოქრომატოზით და დისაქარიდაზული (ლაქტაზას) უკმარისობით და ა.შ.

ბ. პაჭკორია, მ. ნათელაძე, ხ. სახვამე, თ. შათირიშვილი, გ. შარაშენიძე, ა. გოგელია

რამხი სიყაბო

ეჭიმები ჰოიზიში, ახუ ჰოიზის ზეიმი თსსუ-ში



საკამათო არ არის, რომ ქართველი ექიმები შემოქმედებითი ნიჭითაც გამოირჩევიან და როცა საქმე ხელოვნებას ეხება, ისინი მართლაც „არ ხუმრობენ“.

ილი, თამუნა ოზგაიძე, ნინო ქოქოსაძე... აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის 70 და 80 წლის საიუბილეოდ გამოცემული წიგნები: „ექიმები პოეზიაში“ (დინარა კასრაძის და ვახტანგ ყიფიანის რედაქტორობით) და „ჩვენც, ექიმები საქართველოსი“ (დინარა კასრაძის და თამარ ხვედელიანის რედაქტორობით) არა მხოლოდ ზემოწამოთვლილ ავტორთა, არამედ კიდევ ბევრი კარგი პოეტი ექიმის ლექსადქვეულ ნაფიქრ-ნააზრებს იტევს, რომლებიც, სამწუხაროდ, ამ მშვენიერ შეხვედრას ვერ დაეხმარნენ...

ის და ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით გაიმართა (პროექტის ავტორი - მაკა მათიაშვილი) და მასში სტუდენტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ: გიორგი გოდერძიშვილი, ოთო ნადარაია, მირზა ფუტკარაძემ საკუთარი ლექსები წაიკითხეს და პუბლიკის მონონებაც დაიმსახურეს.

ქართული ლექსის თავისებუ-

ანების როლიც წარმატებით „შეასრულეს“ პროფესორებმა დინარა კასრაძემ და დიმიტრი კორძაიამ, რომლებმაც სტუდენტობისდროინდელი პოეტური შეკრებები და, ზოგადად, პოეზიის სიყვარულთან დაკავშირებული არაერთი ისტორიაც გაიხსენეს.

სტუმრები თავად კითხულობდნენ საკუთარ ლექსებს და თითოეული მათგანის გამოსვლამ მართლაც განუმეორებელი შთაბეჭ-



დილება მოახდინა მსმენელზე: ბევრისთვის კარგად ნაცნობმა სტრიქონებმა სულ სხვა ინტერპრეტაციით თუ ემოციით გაიფლერა, თუმცა შეუძლებელია არ ითქვას იმ პატრიოტულ-ჰეროიკული სულისკვეთების შესახებ, დარბაზში გააკოხიდა პოეზიით რომ დაინყო და ლოგიკური გაგრძელება თუ კულმინაციური დაგვირგვინება ნანა ცინცაძის ზემოციურ გამოსვლაში ჰპოვა.

ნათო გოლქვაძე

მკითხველს სიამოვნებით ვთავაზობთ ლექსებს იმ პოეტი ექიმების შემოქმედებიდან, რომლებიც ზემოაღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ. გარდა იმისა, რომ ამ მშვენიერ პოეტურ სამყაროსთან ზიარება თავისთავად საინტერესოა, მათი შემოქმედება იმ ნიშნითაც შევარჩიეთ, რომ ამ მართლაც გამორჩეული პოეტური ნიჭის ავტორთა ლექსები მათი სტუდენტობის შემდეგ „სამედიცინო გაზეთში“ აღარ გამოქვეყნებულა. ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა და მართლაც ისიამოვნებს ჭეშმარიტ პოეზიასთან „შენგედრით“...

ლადო კანაძე

\*\*\*

რწა ნირვანა, რის ნირვანა, „კაიფშია“ სამყარო, დედამიწაზე, ფხინლად იყავ, ძილში არ „კაიფარო“. რწა მშვიდობა, რის მშვიდობა, დენტის კასრი ხარხარებს, ქვეყნებს შორის უხილავი „ბლინდაჟები“ ვათხარეს.

გია კობახიძე

\*\*\*

თუ გაუვიდა სიყვარულს ვადა და სიმულვილის ცაღვივდა კვირტი, ეველანე მვირფასს თუ ქარებს ატან,

გემსუბუქება ცხოვრების ტვირთი. თუ სასურველი არ მოდის კარტი, რადგან სული გაქვს თუჯივით მუიფე, თუ არავისი არა გაქვს დარდი, თუ ომის დროსაც მუჯავლი კრიფე, თუ არ ვაღელვებს დამწვარი სახლი, ან ჩამომძლილი მერცხლების ბუდე, თუ ცივი წყალი არ ვშველის დაღლილს და მეგობრის ცოლს უუჯრებ მრუდედ, თუ ჯანდაბისეკნ ვავირბის ხელი და სიყუთესაც ვერ ხედავს თვალი, აღარ გამძვიდებს სიმღერა მველი, უიღბლო უღელს შებმისარ ცალი, თუ ხალდი ცრემლის ერთ წვეთსაც არ ღვრი, ველარსაც ხედავ ღიმილს მომფერებს, თუკი ვაგიწედა მაგ შუბლზე მარღვი და მამის ნაქონს ჰყიდი ვობეფენს, ეველანე უუღწრფელს თუ თავს არიდებ, დამურას ფრთებით კედლებს ეხლები, ჭკვიანს, რომელიც ჭკუას ვარიგებს, ჩხვლეტ შინაძინი შენი ეკლებით, ფეხზე კვიდა, არავის ზოჯავ და ეველანე თუ ხარ წამსვლელი, თუ უღირს სუფრას შემორჩი ზოჯან და თუ ტვინს ვიმღვრევეს ჭიქა სასმელი... ეველანე ამას თუ იტან მშვიდად,

აღარ ვიტოვავს სიმართლის წარბი, არ გამოვადგა სიყუთე ხიდად, რადგან ვერ სძლიე შენს თავში ხარბი... შენი ადვილი არ არის ნაფში, რადგან ავსა და უკეთურს ემძე, ვერ დანბრუნდები საკუთარ თავში, სანამ უღმერთოდ ცხოვრებას მეძლებ. სიყვარულს ფართოდ გაუღე კარი და შენც ვახდები მსესავით სუფთა, უსიყვარულოდ მიწა მევდარი და არც სხვა სიტყვა არ მიდის უერთან. დაიჯერე და გემხსნოვრება, წინ სიყვარულის ბილივით წადი, უსიყვარულოდ ვახვლილ ცხოვრებას სჯობია ერთი გამძმარი ვარდი. შეძელი ის, რაც ვერ შეძლო ბევრმა, ის, რაც მთავარი არის ეველანე, მოუკდეს მტერი და ინაროს ჭერმა, ეველა ოჯახში, ეველა ენაზე. კარი გაუღე სხვის ვულის ნადებს, ვინც იარა და სინათლე ჰპოვა, სიყუთე ჭქენი და ქვანე დადე, დანარჩენი კი თავისით მოვა.

\*\*\*

მერამდენეჯერ მეღავს, სიტყვა - ნასროლი თოფით, ქალი ბალადანს ჰგავს, ნაიარევი სტროფით. ტყე დაუნდობლად ნთქავს მისს უკანასკნელ სხივებს, ებლაუტები ხავსს, თითებს ჩანჭიდებ ცივებს. მერე წაბლისფერ თმას მოეხატება ქარი და ალტაცების ხმას ვაიგებს მთა და ბარი. და თუძცა ვულში სღვა ბობოქრობს და იბრძვის, მაინც წავიყვან ხვალ და მოვატარებ ეინწვისს.

\*\*\*

როგორც ვინდოდა ისე, ვერ ახერხებდა ძველს,  
 სული მიქროდა ცისკენ, ხორცი მიჭიხინდა ძველს,  
 სულ გაურბოდი რასაც, მაინც სულ თვალწინ  
 ბედმა,  
 შენ თუ ვინდოდა, მასაც სურდა, რომ რაღაც  
 ეთქვა...  
 თუმცა იქნება რთული, მაინც შევიცვლი სავალს,  
 საითაც იწვევს გული, მეც ზუსტად იქით წავალ.

**ნათო ღიზიანობილი**

**კასუსი კონსტანტინე ბატონს**

„ზღვისფერი ვაქვს თვალები და...“  
 კ. გამსახურდია

ისევ ზღვისფერი დამაქვს თვალები, სხვისი  
 ცოლი ვარ კვლავ,  
 ისევ შორიდან მელაციცები, ისევ შორიდან მელავ,  
 ო, რა ტუილად დავიქადია, მე მოგუკლავო  
 ქმარს,  
 შენი სიფიცხე, შენი მუქარა გაჭყვავა შარმანდელ  
 ქარს;  
 დღესაც სხვისი ვარ, ჩემი თითები სხვისთვის  
 ჩამომლის თმას,  
 სხვის წიხვილს ვასხამ ცრემლიან ზემებს, სხვისი  
 საფეხავით ვფეხავ...  
 მაინც ზღვისფერი დამაქვს თვალები, ვისაც რა  
 უნდა თქვას...

**ღიმიტრი კორბანია**

\*\*\*

მოუშორებლად სულ თან დამეყვები,  
 ვით საიდუმლო, სულის ნუგეში,  
 შენ ვიგალობენ ჩემი საუბრები  
 საუკუნეიდან საუკუნეში.  
 ვადმომევა ნატვრა შენი მდომელი –  
 ათასწლეულით ათასწლეულში,  
 შენ, ოცნებითაც მიუწვდომელი,  
 მზედ ჩამოღვრილხარ ამ ჩემს სხეულში!  
 მოგვება ნატვრა მარად მძებნელად  
 შენ, ნატვრასა და ტკივილს უკურნელს...  
 და ისევ შენი ნატვრით ვრძელდები  
 ათასწლეულიც და საუკუნეც!

\*\*\*

დრო ვადის და მზეა ხიჭვიანი,  
 დრო ვადის და ღამის ნაბადია...  
 ბევრის მეგობრობა ნიჭი არის,  
 ნადი მეგობრობა ტალანტია!  
 ათამდე ლექსი მაქვს იჭვიანი,  
 მეტი არაფერი მახადია,  
 ორთა სიყვარული ნიჭი არის,  
 ცაღუა სიყვარული ტალანტია!  
 ცხოვრება სულ სამი ბიჯი არის,  
 ათასი წესი და ადრია!  
 ცხოვრების გატანა ნიჭი არის,  
 კაცურად გატანა ტალანტია!

**ია სულაბერიძე**

**ვითა ცხენსა ნაპარკსა...**

არანსებულს შერევა არსებული  
 და წარსულის უფსკრულებში დანთქმულა,  
 იყო ქვეყნად სიყვარულით სავსე გული,  
 რომელხედაც არაფერი არ თქმულა...

თითქმის ცხადი, თუმცა მაინც შეფარული,  
 და დღეები ვადიდოდა წლანრულად;  
 იყო ქვეყნად ერთი კარგი სიყვარული,  
 რომელხედაც არაფერი არ თქმულა...

ლექსებად და რომანებად დაწოხილია,  
 ფილმებად და სპექტაკლებად დადგმულა,  
 მე მაფიქრებს ის ვხეები, რაც უოფილა  
 და რანედაც არაფერი არ თქმულა...

დალეკია სიტყვა ენას, სიტყვაუღვეს,  
 და სიხუმრე საუკუნეოდ გაისმის.  
 ეს ცრემლები – იმ საოცარ სიყვარულებს,  
 რომლებხედაც არასოდეს არ ითქმის...

და ჩვენს ირგვლივ სუფევს ჩუმი სინანული  
 ან მუსიკის, ან ფერების, ან რითმის,  
 რომ ამქვეყნად არის ბევრი სიყვარული,  
 რომლებხედაც არასოდეს არ ითქმის...

\*\*\*

დასდევს მსუბუქად დასწლეთი კაბას  
 მხერა – ხან ცეცხლი, ხანაც – ეინული,  
 და როგორც ტყვიით – სამინე დაფა,  
 შენი თვალებით ვარ დაცხრილული...

და როგორც ტყვია – სამინე დაფას,  
 შენი თვალებიც ვერაფერს მაკლებს,  
 გაულივარ, როგორც სიმართლე – წლანრს,  
 გაულივარ, როგორც მკვლელები – საკლებს...

**ნანა ცინცაძე**

**გულს...**

გული, რას ითხოვ, ველორო,  
 გული, არ დასვა წერტილი,  
 რომ კიდევ ერთხელ მესტუმროს  
 მზე, ღრუბლებს ჩამოწვევტილი.  
 გული, კვლავ თავი აიძვი,  
 გული, ფიქრები გახედნე.  
 არ შემეკითხო – რანისთვის...  
 საღ კლდეზე გადამხედე.  
 ისეთ სურვილებს შეები,  
 სულ ვხეების ღამე მთიდავდეს,  
 ცხრა ცინეს გადავუვლები,  
 რომ თმები გადამიძვდეს.  
 შენც დაივიწყე ჭაღარა,  
 გული, არ დასვა წერტილი.  
 ჰაუ, შემოჭერს ხალარას,  
 მზე მსტუმრობს თავაწვევტილი.

**ცხელი გენი**

ეს ლექსები – აჯანყება სისხლის,  
 ეს ლექსები – გოლოგოთა და ჯვარცმა.  
 პატრება ვერ ვისწავლე მისხლის,  
 ვერც სურვილთა ნატვრის წყნე აცმა.  
 ვერ ვაკვიდე დანავების დროდა,  
 სულ ჟორნები მიჯიჯინდენ სხეულს.  
 ვატეობ, სულით დავიბადე ბოძა,  
 ვინ დამიჭერს შლეგს და გადარეულს.

ტრამპლ-ტრამპლ ვაჯირით ცხენი  
 და სასურველს დასრწეულად კეპზე.  
 მიტოვებულს ჩემი ცხელი გენი  
 ჟორნებში ქართი დაგადევნე.  
 მერე, როცა ვნა გახედნე გიქმა,  
 ლექსთან ერთად ჩავწახნი თმებში.  
 როს სურვილმა გულზე დამბიჯა,  
 კვლავ ვხეების წლვადი გადავქვი.

**კანა ჭლიბაძე**

**გადლოზ ამ ლეჩისთვის**

ლექსი მომწერდა და წერის მეძინია,  
 ლექსში ლოცვის მსგავსად სიტყვა ცხოველია.  
 მხოლოდ შეხთანლა მაქვს, ღმერთო, საუბარი,  
 რადგან ვეღარ ვარჩევ დღეს ვინ – რომელია.

ფრანგებს საუკლედან ისე ამოვხატავ,  
 სიტყვებს სურხელება დაჭვეთ საქვევლის,  
 ოღონდ მოგვამდლე და ოღონდ დაიფარე  
 მწვემის საძქესოდ და ვენანი მეველის,

თორემ რა ხანია სულით დავნებდით და  
 ძალიდა გვისრულებს ფინალურ არიას.  
 ღმერთო, დედამიწას ჯვარი გადასახე,  
 სისხლი და ცრემლი სდის ნატრად მარიაძს.

ქვიძის კი არა და სისხლის საათები  
 ცოდვით დამძიმდენ და ვეღარ ვატრიალებთ.  
 ასე, წვეთ-წვეთებით სულ მთლად დავიცვლებით  
 და მიწა დახეთქავს დარდით ამ ფიალებს.

უკვე მერამდენე კანს იცვლის მორალი,  
 ვგავართ გაუვითლებულ ფოთლებს ენკენისთვის.  
 თუ კი დავცინეთ და თუ კი ხელი გკარით,  
 შეგვინდე ღმერთო და გმადლობ ამ ლექსისთვის!

\*\*\*

ვერ და ჩემს მხრებზე თოვლთან ერთად შემოდნა  
 ღამე,

ლორჯე ვარიჭრახე ღამშიონი ურჩად ანთია.  
 ვისხენებ ისევ, შორეულს და ვეღლახე ახლოს,  
 მენ კი ჯერ ვძინავს, ჯერ ხომ დილის რვა საათია.

აქ, მთის გადაღმა, მზე ამოდის ისე წითელი,  
 თითქოს ფერდობზე სისხლის გუბეს ცეცხლი მოედო.  
 და ისმის ციდან ახველობთა ალილეია...  
 სასწაულია კანთიადი – მადლობა ღმერთო!

მოაზობს ნისლებს ხეციური რაშების რემა  
 და ვიწროვდება დარდით სავსე სიცარიელე.  
 თენდება ისე, თითქოს აღარ შემოლამდება  
 მეტენის ცაო, ჩემში ისევ ლექსად იელეუ.

ახლა კი წავალ, მამა ალბათ ვერ ანთებს ბუნარს,  
 მეც შევებით მოგვრილ დაღლილობას ვეღარ  
 ვმართავ და

ჩემი კალამიც ეურჩება გაეინულ თითებს,  
 ორი კოლოფი სივარტეც უკვე ვათავდა.

**ნინო ქოქოსაძე**

\*\*\*

მარტო მე არა! თუ კარგია, შენც კი შევკმდვარა  
 მხერა.

ალავ-ალავ დაიბნარე, ეგვეც ნაოჭებია.  
 და რადგან არ ვაქვს შენი თავის დანახვის ნიჭი,  
 გეტყვი ასე (როგორც თავად ვხევივა):  
 –რას დაემსგავსე?!  
 ჰოლის კუთხეში ატეხულია ასი წლის სარკვე!

# მაისის ფოტოქრონიკა



ლიტვის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სტუმრად თსსუ-ში



თსსუ-ს პოლანდიის ნაიშეგენის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები ეწვივნენ.



შეხვედრა ირანის ელჩთან



ტოშბას სამედიცინო სისტემების კორპორაციის დელეგაციასთან შეხვედრაზე



ხარკოვის ნაციონალური ფარმაცევტული უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ვიზიტი



სტუდენტთა საერთაშორისო კულტურის ფესტივალზე

## მედიცინის თანამედროვე მიმართულებები



ბის დაინტერესება გამოიწვია; აღსანიშნავია, რომ სადღესოდ მსოფლიოს მასშტაბით მატულობს ინტერესი მედიცინის ამ



## პროფესორი ლეონელო მილანი ქართველ კოლეგებთან

„ტკივილის თერაპია ფიზიოლოგიური რეგულაციური მედიცინის საშუალებებითა და მეთოდებით“ – ასეთი გახლდათ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარებული სემინარის თემატიკა, რომელსაც უძღვებოდა მილანის, კარაბრიას, სიენას (იტალია), მონტელიერის (საფრანგეთი), კაიროს (ეგვიპტე), სევილიას, მადრიდის (ესპანეთი), ილინიოსის (აშშ) სამედიცინო უნივერსიტეტების პროფესორი, ლეონელო მილანი.

სემინარი თეორიული და პრაქტიკული ნაწილებს განეშტამა.

დაგეგმდა. გამომსვლელმა განიხილა ბიორეგულაციური თერაპიის გამოყენების ეფექტურობა სახსრების აუტოიმუნური გენეზის დეგენერაციული დაავადებების, ქრონიკული და მწვავე ტკივილის, სპორტული ტრავმების, დაზიანებული ქსოვილის რეგენერაციის და რიგი დაავადების დროს.

პრაქტიკულ მეცადინეობაზე უცხოელმა პროფესორმა, ასევე, განიხილა კონკრეტული შემთხვევების მკურნალობის მეთოდები და მონაწილეებს მიეცათ სხვადასხვა მანიპულაციის ჩატარების საშუალება.

შეხვედრამ დამსრე საზოგადოების, კლინიცისტი ექიმე-

მიმართულების მიმართ, რადგანაც ბიორეგულაციური მედიცინის მიერ შემოთავაზებული მედიკამენტების გამოყენების სპექტრი და ეფექტურობის ხარისხი საკმაოდ დიდია. სასიამოვნოა, რომ სადღესოდ ბიორეგულაციური მედიცინა ღირსეულ ადგილს იმკვიდრებს.

შეხვედრის ორგანიზატორები გახლდნენ ფიზიოლოგიური რეგულაციური მედიცინის საერთაშორისო აკადემია, საქართველოს ბიოლოგიური მედიცინის და ჰომოტოქსიკოლოგიის საზოგადოება, შ.პ.ს „დევიზი“ და შ.პ.ს. „ნატუროპატი“.

დარეჯან კოხლაძე

## ახალი წიგნები



რევაზ კვანავის წიგნი, ბუნებრივი გარემოს ჰიგიენა. თბილისი, 2012 წ. თსსუ გამომცემლობა, 611 გვ.

სახელმძღვანელოს ძირითად ოთხ თავში თანმიმდევრულად, ლოგიკურ ურთიერთკავშირში დახასიათებულია გარემოს ჰიგიენა, როგორც მეცნიერება და სასწავლო დისციპლინა, ამ მეცნიერებისა და დისციპლინის განვითარების ძირითადი ისტორიული ეტაპები, თანამედროვე გარემოს ჰიგიენის თვისებურებანი, ბუნებრივი გარემოს ჰიგიენა.

წინათქმამი ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარემოს ჰიგიენის თანამედროვე პრობლემებმა სრულიად ახლებური განვითარება ჰპოვა ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების პერიოდში. სახელდობრ, გაღრმავდა წარმოდგენები მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ სისტემაში „ადამიანი-გარემო“, შეიცვალა და შეივსო ამ კავშირების გამოვლენის პრინციპები და მეთოდები, რამაც განაპირობა პროფილაქტიკური მედიცინის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის) მიმართულებით სპეციალისტების მომზადების პროცესის ოპტიმიზაციის აუცილებლობა, ადეკვატური სახელმძღვანელოს შედგენა და გამოცემა თანამედროვე მეთოდების აღწერით.

სახელმძღვანელოს პირველ თავში განხილულია სასამედიცინო და დასახლების წყალმომარაგების ჰიგიენა. წარმოდგენილია ინფორმაცია წყლის ფიზიოლოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობის შესახებ: წყლის ფიზიკურ-ქიმიური და მათი ფიზიოლოგიური მნიშვნელობა, სასამედიცინო ჰიგიენური მნიშვნელობა, მისი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელ-

რუბრიკას უძღვება პროფესორი ვალიხ სააკაძე



ობისა და ცხოვრების პირობებზე, სასამედიცინო წყლის ხარისხის ჰიგიენური მახასიათებლები, სასამედიცინო წყლის როლი ინფექციური დაავადებებისა და ინვაზიების გავრცელებაში, სასამედიცინო წყლის ქიმიური შემადგენლობის გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ცხოვრების პირობებზე, სასამედიცინო წყლის ჰიგიენური ნორმირება, წყლის გაკამკამებისა და გაუფერულების მეთოდები, სასამედიცინო წყლის კონსერვაცია, წყლის ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების, ქიმიური უფრთხოების, ორგანო-ეპიტელური თვისებების შესწავლა.

მეორე თავში დანერგულია განხილული წყლის ობიექტების სანიტარული დაცვა. მესამე თავი ეძღვნება ნიადაგის ჰიგიენისა და დასახლებების სანიტარული დაცვის ძირითადი საკითხების დახასიათებას, ხოლო მეოთხე თავი მთლიანად ასახავს ატმოსფერული ჰაერის ჰიგიენის მრავალრიცხოვან პრობლემებს.

სახელმძღვანელოს თანახმად განმარტებითი დიაგრამები, სქემები და ცხრილები, აგრეთვე, თითოეულ თავს – შესაბამისი სიტუაციური ამოცანები და საკონტროლო ტესტები. დასკვნით ნაწილში მოთავსებულია საკონტროლო ტესტების პასუხები. დანართში წარმოდგენილია გარემოს ჰიგიენის სფეროს მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, ასევე, გარემოს ჰიგიენის სპეციალობით 2001-2012 წლებში შემუშავებული და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებით დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმირების ერთიანი სახელმწიფო სისტემის დოკუმენტების ჩამონათვალი. სახელმძღვანელოს თანახმად გარემოს ჰიგიენის ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი.

წიგნი განკუთვნილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქართველოს უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების შემსწავლელ სტუდენტთათვის.

## ახლახან გამოიყვანა აბლიოპია



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ეგიდით გამოვიდა დამხმარე სახელმძღვანელო – „აბლიოპია“ – თვალის სნეულებათა დეპარტამენტის ასოცირებ-

ული პროფესორის, დავით შენგელიასა და მედიცინაში აკადემიური დოქტორის, ლუიზა ცომაიას ავტორობით; ნაშრომში განხილულია ამბლიოპიის არსი. აღნიშნულია, რომ ამბლიოპია ბავშვთა ასაკის ერთ-ერთი გავრცელებული პათოლოგიაა და მოსახლეობაში „ზარმაცი თვალის“ სახელითაა ცნობილი.

ამბლიოპიის პრევენცია და თვალის დაკარგული ფუნქციების დროული აღდგენა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვინაიდან, დროულად დაწყებული მკურნალობის შემთხვევაში, შესაძლებელია სრული განკურნების მიღწევა. პედაგოგიურ ოფთალმოლოგიაში აღნიშნული პათოლოგიის ნორმალიზება ყველაზე ეფექტურია 5-6 წლის ასაკამდე ბავშვებში, შედარებით რთულია 7-12 წლის ასაკში და

თითქმის არაეფექტური – უფრო მეტი ასაკის ბავშვთა შორის.

ავტორთა მიერ გაშუქებულია ამბლიოპიის პრევენციის, ეტიოპათოგენების და თანამედროვე კონსერვატიული მკურნალობის ძირითადი ასპექტები. იგი, საკუთარ დიდ მასალაზე დაყრდნობით, მრავალწლიანი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის ანალიზის შედეგებს წარმოადგენს.

ამბლიოპიის პრობლემისადმი მიძღვნილი ეს წიგნი ქართულ ენაზე შექმნილი პირველი ნაშრომია, რომელიც, დამხმარე ლიტერატურის სახით, რეკომენდებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესში დაწერვისთვის დიპლომანდელ და პოსტდიალომურ ეტაპებზე.

სპორტი

უნივერსიადა - 2012

მიმდინარეობს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით უნივერსიადა - 2012, რომელშიც მონაწილეობენ საქართველოს აკ-

(100 კგ. წონით კატეგორიაში) - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მე-2 კურსის სტუდენტმა, გიორგი კალაძემ, მოიპოვა. ბრინჯაოს მედალი 81 კგ. წონით კატეგორიაში ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუ-

დენტმა, მიხეილ სიმონიანმა, დაიმსახურა.


ალსანიშნავია, აგრეთვე, რომ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტს, შალვა ნიკლაურს, ვერცხლის მედალი - ტაყეკონდოში, ხოლო ხელბურთულ ვაჟთა ნაკრებ გუნდს - ბრინჯაოს მედალი ხვდათ ნილადა. ოქროს მედალი მოიპოვა მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა, თორნიკე კაპანაძემ ქართულ ჭიდაობაში.

საქართველოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ჩატარდა მორიგი ტურნირი



რედიტებული უმაღლესი სასწავლებლები. სპორტის სხვადასხვა სახეობაში: ძიუდო, ბადმინტონი, ხელბურთი, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა - სამბო, კარატე, ჭადრაკი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან მონაწილეობდა 127 სტუდენტი.

ძიუდოში ოქროს მედალი



ბადმინტონში, სადაც საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მონაწილეობდნენ.

ოქროს მედალით დაჯილდოვდნენ თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვანი სექტორის სტუდენტები - საჩინო გიჯაია აკულათილაკე, თარიღუ ნაინგიტ გუნასირი; ვერცხლის მედალით - ტრიპედერ სინგვი, ბრინჯაოს მედალით - გვინა აჯაია ბჰადი.

საყაენწყაო გეოო

სიმსუქნის სანიანალოდებო პაქსინა



რამ ნაკლებად იმატებდნენ წონაში. უფრო მეტიც, მათი ცხიმოვანი ქსოვილი შემცირდა კიდევ, - იუწყება ბრიტანული გაზეთი Daily Telegraph.

ვაქცინა, რომლის შესახებაც ცნობა წარმოდგენილია ამერიკელი მკვლე-

ის (ghrelin) წინააღმდეგ. ზემოქმედებს რა ორგანიზმის ენერგეტიკულ ბალანსზე, აიძულებს ორგანიზმს გამოიმუშაოს ანტისხეულები გრელინის მიმართ. ეს უკანასკნელი იწვევს შიმშილის გრძნობას და შედეგად - წონის მომატებას.

პროფესორი კიმ ჯანდა სკრიპსი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან (კალიფორნია), აღნიშნავს: „ჩვენი კვლევა - პირველი გამოქვეყნებული ცნობაა იმის შესახებ, რომ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში გრელინის მიწოდების შეფერხებამ შეიძლება წონის სასურველი დაქვეითება გამოიწვიოს“.

პროფესორი ჯანდა თვლის, რომ მის ჯგუფს შეუძლია უახლოეს მომავალში (ალბათ ერთ წელიწადში) დაიწყო ვაქცინის გამოცდა ადამიანებზე. ამასთანავე, მეცნიერები დაიცავენ უსაფრთხოების ყველა ზომას.

ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს სიმსუქნის სანიანალოდებო ვაქცინა, რომელიც უკვე გამოიცადა ლაბორატორიულ პირობებში. მან მნიშვნელოვნად შეამცირა ცხიმოვანი უჯრედების რაოდენობა საცდელ ცხოველებში. ზრდასრული მამრი ვირთხები, რომლებიც იღებდნენ ვაქცინის დოზას, იკვებებოდნენ ჩვეულებრივად, მაგ-



ვარების მიერ, შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს და გვისხნას მკაცრი დიეტის დაცვის აუცილებლობისაგან. ვაქცინა მოქმედებს ბუნებრივი წარმოშობის ჰორმონის გრელინ-

სსოვნა

გულისხმიერი მკურნალი

2012 წლის 17 მაისს, 54 წლის ასაკში, გარდაიცვალა ცნობილი მკურნალი დავით (დათო) ნემსაძე. მან ცხოვრების რთული გზა განვლო. 1989 წელს წარჩინებით დაამთავრა სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და სწავლა გააგრძელა კალუგის საოლქო ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ინტერნატურაში. შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო ჩოხატაურის სოფელ შუასერების საუბნო საავადმყოფოს მთავარ ექიმად და თერაპევტად. 1993 წელს ჩაირიცხა მიზნობრივ ორდინატურაში თსსუ-ის სუბორტინატურაში პოსპიტალური თერაპიის №1 კათედრაზე (რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ბაზაზე). ორდინატურის დამთავრების შემდეგ, 1995 წელს, დაინიშნა საშურის რაისავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში, ამავდროულად, შეთავსებით მუშაობდა იძულებით გადაადგილებულთა სამედიცინო დახმარების „აფხაზეთის“ სტაციონარულ-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში ექიმ-თერაპევტად. შემდეგ მუშაობას იწყებს რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე არსებულ „გეომედიკაში“, ხოლო 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე - დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში“.

მიუხედავად იმისა, რომ მან მრავალ სამკურნალო დანებებულეზაში იმუშავა, მთავარი მისთვის რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო და დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი იყო. მას შეთავსებით უზღებოდა მუშაობა სხვადასხვა ადგილას. გასაოცარი იყო მისი ამტანობა. საშურის რაისავადმყოფოში თერაპევტად საქმიანობის პარალელურად იგი რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს გასტრენტეროლოგიურ განყოფილებაში მუშაობდა უშტატო ორდინატორად, მორიგობდა და ატარებდა ავადმყოფებს, რომელთა ყურადღება, მათ შორის - კოლეგების, თავიდანვე მიიპყრო როგორც ნიჭიერმა, გამჭრიახმა, გულისხმიერმა და იშვიათი შრომისმოყვარეობით გამოჩენულმა მკურნალმა. ამიტომაც მის სამუშაო კარგობთან მუდმივად პაციენტთა რიგი იდგა. მას აკეთხავდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონიდან.

დათო ექიმი განსაკუთრებით ეიმედებოდათ ზაჰესის (თვითონ ზაჰესის დასახლებაში ცხოვრობდა), ავჭალის, გლდანო-ნაძალადევის მცხოვრებლებს, რადგან იგი მათი გასაჭირის გამზიარებელი მკურნალი იყო. თუმცა მისი ბინის კარი ნებისმიერი ავადმყოფისთვის იყო ღია. დათო ექიმს, ასეთმა საოცარმა გულისხმიერებამ, პაციენტის დასახმარებლად მუდმივმა მზადყოფნამ, სახალხო ექიმის სახელი დაუმკვიდრა. მას, გარდა თერაპევტიკობისა, ადვილად ეხერხებოდა მოსაზღვრე დარგების - მცირე, ამბულატორიული ქირურგიის, მეანობა-გინეკოლოგიის, ნევროპათოლოგიური პაციენტებისთვის პირველადი დახმარების განევა (რაც, სამწუხაროდ, ვინცო სპეციალიზაციის ეპოქაში, იშვიათი მოვლენაა).

დათო ნემსაძე „ოჯახის ექიმის“ ინსტიტუტის საუკეთესო წარმომადგენელი იყო. ძველად ასეთ ექიმებს ერობის, სოფლის ან უბნის ექიმებს უწოდებდნენ. დათო ექიმმა ღირსეულად გააგრძელა ძველი, ლეგენდარული ქართველი ექიმების: ივანე გომარეთლის, სამსონ თოფურის, პროკოფი ჩხიკვიშვილის, ნიკო ჯანდიერის, გიორგი ტარსაიძის, სვერიან ჭოღოშვილის, ალექსანდრე გზირიშ-



ვილის, ვალიკო მეუნარგას, მურმან ფონიას, გენო გეგეშვიდის გზა. იგი ქომაგი იყო რესპუბლიკურ კლინიკაში მცხოვრები აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთათვის - მათთვის მხოლოდ დათო ექიმი იყო ავტორიტეტი და, თუ სხვა სპეციალობის ექიმთან იყო მკურნალობა საჭირო, მისი რჩევის გარეშე არ მიდიოდნენ.

დათო ნემსაძე სახელმწიფოებრივი იყო საზოგადოებაში. იგი, საოცრად ემპათიური, აგრესიული ადამიანისგანაც კეთილ განწყობას იმსახურებდა. ამიტომაც, ვინც ერთხელ გაესინჯებოდა, სამუდამოდ მის პაციენტად რჩებოდა. ბევრი მათგანი უმეგობრდებოდა და შეილსაც ანათლინებდა. ძველი ისტორიული წყაროების გაცნობის შემდეგ შეიტყო, რომ მისი სეხნია, დავით ნემსაძე, მე-17-ე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი) მთავარეპისკოპოსი ყოფილა. ამ ცნობამ მისი ღვთისმოსაობა და სიყვარული გააღრმავა და პაციენტებსაც ურჩევდა ეკლესიურად ეცხოვრათ, მორიდებოდნენ ბიბლიურ ცოდვებს, რადგან იგი ავადმყოფობის აღმოცენების ხელშემწყობია.

დათოს საექიმო იდეალები იყვნენ სახალხო მკურნალები: ივანე გომარეთელი და ნიკო ჯანდიერი, აგრეთვე გენიალური ქირურგი და ყირიმ-სიმფეროპოლის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, წმიდა ლუკა აღმსარებელი (ვ. ვინიოიასენეცკი). ადამიანურ-ზნეობრივ იდეალად „ვეფხისტყაოსნის“ გმირს - ავთანდილს სახავდა. ხიბლავდა რუსთაველის აფორიზმები: „კაცსა გასვრის უფულობა“ და „უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია“, ბაძავდა თავის საამაყო გმირებს და ამაყობდა მათით.

დათო ნემსაძე შექმნა საამაყო ოჯახი და მართმადიდებლური სულისკვეთებით ზრდიდა სამ ვაჟიშვილს. საყვარელი მკურნალის ოჯახური და საზოგადოებრივი ბედნიერება ბედისწერამ უღმობლად გააცამტვერა - იშვიათი სიმამაცისა და სულიერი ძლიერების მიუხედავად, უღმობელმა სენმა თავისი გაიტანა...

ზაჰეს-ავჭალის მრავლისმნახველ მოსახლეობას არ ახსოვს განსვენებულის ასეთი პატივისცემით გაცილება სამუდამო ნავსაყუდელში: მრავალათასიან, მწუხარებისგან დადუმებულ პროცესიას გზადაგზა უერთებოდნენ სახალხო მკურნალის პაციენტები, მისი ღვთის დამფასებლები და უცნობი ადამიანებიც...

წუთისოფლიდან ძალზე ნაადრევად წასულს კიდევ რამდენი ჰქონდა გასაკეთებელი...

სანთელ-საკმეველი გინათებდეს გზას ზეციურ სასუფეველში, დათო ექიმო!

აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს) ექიმ-თერაპევტთა ჯგუფის სახელით ექიმი გასტროენტეროლოგი სუტა პაჭკორია